პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 261 (20002) ოთხშაბათი, 11 ნოემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მთავრობის მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება 1987 წლის 14 ნოემბერს 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 11, 12, 13 ნოემბერს 9 საათიდან 21 საათამდე და 14 ნოემბერს 8 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონები: 99-06-94, 93-16-10, 99-92-79.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1987 წლის 14 ნოემბერს 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უნარჩენოდ გადავამუშაოთ ვრცელდუქტები!

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო სხდომაზე გადაუდებელ პრობლემათა შორის საგანგებოდ აღინიშნა სურსათით ხალხის უზრუნველყოფა. „დღეს განვიხილავთ სურსათთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხს, — თქვა მ. ს. გორბაჩოვმა ამას წინათ სკკ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, — ჩვენ შეკვეთით წარმოებული ფეხსაცმელი ერთ-ერთ მეტად საჭმელია და ნუგბარის დამზადება არავის გახსენებია; გადამამუშავებელი საწარმოები მხოლოდ ღვინოს, არაყსა და კონიაკს აბამდებენენ. რა თქმა უნდა, ამ სასმელების დამზადება არავის აუკრძალავს, მაგრამ ყურძნის ნეგვი მეორე რიგდენობით და უხარისხო რომ მზადდებოდა, ამას თითქოს ვ

2. ყველაზე საიმედო გზა

ბათუმს საქართველოს საზღვაო ჭიშკარი შეარქვეს. აქ ყოველწლიურად ღუზას უშვებს ასობით სატვირთო და სამგზავრო გემი. დღევანდელი საუბარი სატვირთო ნავსადგურს და მის პარტორგანიზაციას შეეხება.

ჯერ კიდევ ამა წლის დამდეგს აქ განსაკუთრებით გაბუერებული დღეები ჰქონდათ. დღის წესრიგში დადგა ბრიგადების გადანაწილების საკითხი. დავა გაჟღეიერა სვერდლოვსკელთა თაოსნობის განხილვამ, რომელიც შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის კოლექტივურ გარანტიას გულისხმობს, რაც იმას ნიშნავს, რომ შრომითი კოლექტივი პასუხისმგებლობას კისრულობს მისი თითოეული წევრისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელშეკრულების ყოველი მუხლის უნაკლოდ შესრულება შრომითმა კოლექტივს მნიშვნელოვნად უზრდის ხელფასს. პარტიულ კრებაზე გამართული პრინციპული, გულახდილი კამათი ლოგიკურ შედეგამდე მივიდა. ვინც სიანლეებს არ დაეთანხმა, ვისაც საკუთარი თავის იმედი არ ჰქონდა, მან უფრო იოლ სამუშაოზე გადაინაცვლა.

ასე დაიწყო გარდაქმნა ნავსადგურის საწარმოო-სატვირთო კომპლექსში. ბრიგადიერმა თავიანთ ხელმძღვანელებად ნუგზარ ორბელაძე და ნოდარ წულუკიძე აირჩიეს.

სიძნელეებს შრომითი პროცესების სირთულე ქმნიდა. უპირველესი მოთხოვნა ის იყო, რომ ყველა დოკერ-მექანიზატორი დაუფლებოდა ყველა მანქანის მართვას. სამამულო მანქანებთან ერთად ჰქონდათ რთული იაპონური მანქანები „კომაცუ“ და „ტროიტა“, რომელთა ექსპლოატაცია მხოლოდ მაღალი კლასის მექანიზატორებს შეეძლოთ, უამისოდ კი წარმატების მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა.

საქმემ უცვლ გამოაჩინა ყველა შუქ-ჩრდილი. პირველი ბრიგადის მესამე ცვლამ, რომელსაც სათავეში ამირან ახვლედიანი ედგა, მხარი ვერ აუბა დანარჩენ ცვლებს. ზოგიერთმა მექანიზატორმა მანქანებს ვერ გაართვა თავი. ეს საკითხი კომპლექსური ბრიგადის, მისი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მსჯელობის საგანი გახდა. გამოსავალი მოინახა — ცვლა გადაახალისეს. განაწილდა პერსონალური დავალებები კომუნისტებზე. მექანიზატორებს მხარში ამოუდგნენ რამაკო კობახიძე, ნუგზარ ორბელაძე, ზურაბ ზაქარაძე. ამირან ახვლედიანი და მანამ არ მოშორებიან, სანამ არ აუმაღლეს კვალიფიკაცია. ორიოდე თვეში საქმე ისე გამოსწორდა, რომ ახვლედიანის ცვლა ახლა კომპლექსში ერთ-ერთი მოწინავეა. წესად აქვთ ბრიგადებში, თუ სადმე სუსტი ადგილი გაჩნდა, ყველა იქ მოიყრის თავს, ერთიანი ძალით შეუტევენ მას და საქმეც შეუფერხებლად მიიწევს წინ.

ყოველივე ამან, აგრეთვე პერსონალური პასუხისმგებლობის გაზრდამ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლამ შეამჭიდროვა, დაუახლოვა ბრიგადების და ცვლების წევრები. ცხებები „შენი“, „ჩემი“ კოლექტივში ალარ არსებობს. არსებობს „ჩვენი“, ამ პრინციპით გამოიზარდა კოლექტივის ძალა. თითოეულის წვლილი მართლაც დიდია საერთო საქმეში, იმიტომ, რომ ყოველი მუშაკი მაქსიმალურად ცდილობს კომპლექსის წარმატებებისათვის. ადრე დაცილილი ვაგონების რკინის კარების დაკეტვას, მაგალითად, ოთხი კაცი სჭირდებოდა, თანაც ეს მძიმე ფიზიკურ საქმედ ითვლებოდა. იური გელაშვილმა გამოიგონა მექანიზმი, რომელიც მცირე დროში, ენერგიის გაუხარჯავად კეტავს კარებს. ამ პროცესს ახლა ორი კაცი ემსახურება.

დიდ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა რ. სახნოვის გამოგონებები. ერთი სიტყვით, მარტო წელს კომპლექსის მუშაკთა თერთმეტმა წინადადებამ კომპლექსს 6 თვეში 37 ათასი მანეთის დაზოგვის საშუალება მისცა.

კიდევ ერთ საკითხს უნდა გაეცეს ხაზი. ლენინგრადელთა საკავშირო ცნობილი ინიციატივა ერთიანი სატრანსპორტო კონვეიერის აუცილებლობის შესახებ აქ პარტიულ კრებაზე განიხილეს და მთლიანად გაითავისეს. და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან დოკერები ცალკე ვერაფერს გახდებიან, რკინიგზელებმა დროულად თუ არ მიაწოდეს ვაგონები. წინა წლებში ეს ორი სატრანსპორტო ორგანიზაცია სულ დავობდა იმის გამო, რომ რკინიგზა ხშირად აფერხებდა ნავსადგურში ტვირთის დამუშავებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ ნავსადგურის, რკინიგზის კვანძისა და ავტოსაწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი მუშაკები.

— ახლა რკინიგზელები კარგად გვიმართავენ ხელს, — თქვა საქვირთო კომპლექსის უფროსმა მ. კუტუბიძემ, — მათ წელს გეგმის გადამეტებით 300 ვაგონი მოგვცეს, ეს დიდი დახმარებაა.

ყოველი საქმიანობის შედეგი, უპირველესად, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო გეგმის შესრულებთ გამოიხატება. წელს პირველ ნახევარში სახელმწიფო გეგმა აქ 123 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით დაამუშავეს 189 ათასი ტონა ტვირთი. წინა წელთან შედარებით ტვირთის დამუშავება პირდაპირი ვარიანტით (გემი — ვაგონი) გეგმით ნავარაუდევი 13 პროცენტის ნაცვლად 25 პროცენტით გაიზარდა. გემების მოცდენა 11 პროცენტით შემცირდა, დაზოგეს 1144 გემ-საათი.

ახლა მეორე მხარე? სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შედეგად ყოველი დოკერ-მექანიზატორის ხელფასი 20 პროცენტით გაიზარდა. ზეგეგმითი ტვირთის დამუშავებამ და მოგების ზრდამ გაჯელეს მოახდინა ნავსადგურის სხვა სამსახურებისა და აპარატის თანამშრომელთა ხელფასზეც.

მეზღვაურების, დოკერებისა და რკინიგზელებისათვის ოქროს, ფასი აქვს დროის ფაქტორს. ამიტომაც ყველა ცდილობს ვადამდე დამუშავდეს ტვირთი. ამის მისაღწევად წინასწარ უთანხმდებიან გემების კაპიტნებს, აფორმებენ ხელშეკრულებას, ნავსადგური გემებს ეხმარება მანევრირებასა და რეიდზე დროულად დადგომაში, ამზადებს მექანიზმებსა და მოძრავ შემადგენლობას. გემის კაპიტანი დოკერებს ეხმარება ტრიუმების განთავსებასა და ტვირთის დამუშავებაში. ასეთი კომპლექსური ღონისძიებების შედეგია ამგვარი ფაქტები: სექტემბერში „ანაპა“ 28 საათით ადრე დაამუშავეს, „მაკარენკო“ — 41 საათით, „სოლოვიოვ-სედოი“ — 35 საათით, „ევგენი ვახტანგოვი“ — 40 საათით და ა. შ. იმავე პერიოდში 4 გემი დაგვიანებით დაიცალა. საქმე ამინდმა და ვაგონების ურიტმო მიწოდებამ შეაფერხა.

ნავსადგურის საწარმოო-სატვირთო კომპლექსმა შარშან იკისრა მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის გეგმა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეესრულებინათ. თქვეს და მონდომებული შრომით სიტყვა სამედ აქციეს კიდეც. კომპლექსის ორივე ბრიგადას კარგი მაჩვენებლები აქვს. განსაკუთრებით დაფნინარდნენ რ. კობახიძის, მ. კახიძის, ზ. ზაქარაძის, ა. ხოზრევანიძის, გ. მახარაძის ცვლები...

ალბათ არ მოიძებნება საწარმო, სადაც ყველაფერი იდეალურად იყოს აწყობილი და სახურნავი არაფერი ჰქონდეთ, გამონაკლისი არც ნავსადგურის საწარმოო-სატვირთო კომპლექსი იქნება. ამაზე საუბრისას, პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. ჯანელიძემ თქვა: ჩვენი კომპლექსი ადრეებით კარგად არის დაკომპლექტებული, უახლესი მექანიზმებითაც აღჭურვილი ვართ, მხოლოდ იმას ვისურვებთ, გემები ყოველთვის რიტმულად მოვიდეს და რაც შეიძლება მეტი ტვირთი მოიტანონ. ტვირთი ჩვენი საარსებო წყაროა. არის კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი — სოციალური საკითხი. ბევრი დოკერი ბინით არ არის უზრუნველყოფილი. მათ შორის ორბელაძეც. ადამიანს რომ შინ ყველაფერი მოწესრიგებული აქვს, ხომ სულ სხვანაირად მუშაობს...

პარტორგანიზაციის მთავარი ამოცანა კვ მომავალშიც რჩება იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, თითოეულ ადამიანთან ინდივიდუალური მიდგომა, მათი უნარის სრული გამოყენება...

წამოვედი და იმ მძლავრ, ერთსულოვან ოკოლექტივზე ფიქრთან წამომყვა, მაინც რა ძალა აქვს ნამდვილ კოლექტივიზმს, ჯანსაღ, ნამდვილ ერთობას! ეს არის ის ერადერთი სწორი გზა, საერთო წარმატებებისაკენ ნამდ მივყავართ.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალგაზრდობა

ბორის რაიონის შავშვების მებილეობა-მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში ხაუცხოოდ შრომობს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც თამაზ დუდაშვილი ხელმძღვანელობს. გუშინ ბრიგადამ შეასრულა საგეგმო დავალება — უდანაკარგოდ მოკრიფა 140 ტონა ვაშლი და მხხალი. ბრიგადის წევრებმა ვალდებულება აიღეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 10 ტონა ხილი.

1986 წლის მაჩვენებლებით ბრიგადამ გაიმარჯვა სსრ კავშირის სახაგრომრეწვის კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. იგი დაჯილდოდა ფულადი პრემიით და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ვიმპელით.

სურათებზე: კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები ირინე ჩარაევა, მაყვალა ბოლოთაშვილი, ლილი ელიზაროვა, ლამზირა კუდუხაშვილი, ნანა ელიზაროვა, მანანა ხუციევა; საუკეთესო მეხილე კომკავშირელი ქეთევან ტურაშვილი დღეში 500-600 კილოგრამ ვაშლს კრეფს.

თ. ყუფარაძის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

საღდესასწაულო დღეებში დამთავრდა გაზსადენის მშენებლობა და

ცისფერი სათბობი მიიღეს

აბაშისა და ცხაკაიას მშრომელებმა. საექსპლოატაციოდ გადაცემული უბანი ქუთაის-სოხუმის 212-კილომეტრიანი მაგისტრალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. საქართველოში ამჟამად გაყვანილია ხუთი ათას კილომეტრზე მეტი მილსადენი. პირველ ეტაპზე, რომელიც 2000 წლამდეა გათვალისწინებული, უნდა გიიყვანონ კიდევ ათი ათასი კილომეტრი მაგისტრალი. ამ დროისათვის რესპუბლიკის მიერ გამოყენებული გაზის მოცულობა წელიწადში 15 მილიარდ კუბურ მეტრს გადააჭარბებს.

▼▼

მილიციის ტრადიციულ დღეს თბილისის საჭარნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება (უფროსი — მილიციის პოლკოვნიკი ზოთა ენუქიძე) სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ

სიგელითა და გარდამავალი ვიმპელით

დაჯილდოდა. უკვე რამდენიმე წელიწადია პირველობას არავის ეომობს ეს კოლექტივი, სასახელო მაჩვენებლებს აღწევს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

▼▼

ხულო მაღალი მთის რაიონია და აქ სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მეცხოველეობაა. წელი მთავრდება. რაიონის

მეცხოველეები აჯამებენ

განვლილ პერიოდში გაწეულ შრომას. არიან ისეთებიც, რომლებმაც უკვე შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების წლიური გეგმა. მაგალითად, ყალოთის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა ვადაზე სამი თვით ადრე — პირველი ოქტომბრისათვის შეასრულეს რძის, ყვრომების წლიური გეგმა. მიიღეს 62 ტონაზე მეტი რძე. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მწველავებმა ეთერ მამულაძემ, ოლია და ლიანა აბულაძეებმა და სხვებმა.

ყალოთელებს არც ფაჩხელები ჩამორჩნენ. მათ არა თვით ადრე შეასრულეს წლიური გეგმა. ასევე დაწინაურდნენ დანისპარაულის კოლმეურნეობის მეცხოველეები.

▼▼

საგზოთა ხალხი მეგობრულ დახმარებას უწევს ავღანეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს. ქობულეთის ადგილობრივი მრეწველობის საამქრომ

მოძმე ავღანეთისათვის

წლის დამდეგს საპატიო დავალება მიიღო — ავღანელი მომხმარებლისათვის შეეკერა და გაეგზავნა 1.100 ათასი მანეთის შალითები, ზეწრები, ლეიბისა და ბალიშის პირები, სამუშაო კოსტიუმები. კოლექტივმა ეს დავალება ვადამდე, 1 ნოემბრისათვის შეასრულა. წლიური გეგმაც გადაჭარბებით შესრულდა. 1.750 ათასის ნაცვლად გამოშვებულია 2.065 ათასი მანეთის პროდუქცია. ნოემბრიდან საამქრო მომავალი წლის ანგარიშში შრომობს.

▼▼

ნაყოფიერ შემოქმედებიდან მუშაობას ეწევიან აჭარელი მხატვრები, ბათუმში აჭარის ორმოცამდე მხატვარმა მიიღო მონაწილეობა

საოქტომბრო ვერნისაჟში

საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილია სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგი: ფერწერა, გრაფიკა, ხის მოჩუქურთმება, ლითონმჭედლობაკერამიკა. მ. ხოლუაშვილმა და ხ. კერიდმ ფართო ფერწერული ტილო მიუძღვნეს 1921 წლის მარტში წეთი არმიის შემოსვლას აჭარაში. შ. ზამთარაძის ნამუშევრის თემაა „ოქტომბრის ბელადი ვ. ი. ლენინი მოსკოვის ერთ-ერთი ქარხნის მუშებთან“.

სასურსათო პროგრამა

წარმატებას უზრუნველყოფს ორგანიზებულობა

შემოდგომაზე მოკრეფილი ნედლეულისაგან დამზადებული მწვანე აგურა ჩაის გამოშვება დაიწყო რესპუბლიკაში. მუშობა ჯერჯერობით ნელი ტემპით მიმდინარეობს. ოქტომბრის შესამე დეკადისათვის ამ ძირითადად საექსპორტო პროდუქციის წარმოების თვითო გეგმის თითქმის მესამედი შესრულებული იყო. მრეწველობამ ვერ გამოიყენა შარშანდელთან შედარებით ჩაის ალაობის უფრო ადრე დამთავრების მეოხებით ამ შემოდგომაზე მოგებული დრო.

ქვეყანაში მწვანე აგურა ჩაის ერთადერთმა მიმწოდებლებმა — ზუგდიდის ჩაის კომბინატმა და ჩაქვის ჩაის საწნეხმა ფაბრიკამ — მხოლოდ უმნიშვნელოდ გადააჭარბეს ამ პროდუქტის შარშან მიღწეულ მთლიანი წარმოების დონეს, რომელზეც დიდი მოთხოვნაა. მაგალითად, მეოთხე კვარტალის დამდეგს გამოუშვეს 6827 ტონა, ანუ მხოლოდ 86 ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის ამავე დროისათვის. მაგრამ მაშინ ხომ გამოშვების გეგმა ჩაიფუშა.

აგურა ჩაის წარმოებაში ჩამორჩენის ძირითად მიზეზად, როგორც გასულ, ისე ამ სეზონში, დარგის სპეციალისტებს მიაჩნიათ ლაო-ჩაის — იმ ნედლეულის მწვავე დეფიციტი, რომელსაც იღებენ ჰლანტაციებში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის აღებამდე და აღების შემდეგ. მართლაც, ამ წლისათვის დაგეგმილი 25 ათასი ტონიდან რესპუბლიკის სახაგრომრეწვის მეურნეობებმა გაოასამუშავებლად გაგზავნეს სულ 7214 ტონა ლაო-ჩაი. დიდი ზოზინის შემდეგ მეჩაიეებმა დაიწყეს მისი კრეფა შემოდგომაზე.

ლაო-ჩაის გადამუშავების ახლანდელი, მეორე ეტაპისთვის სათანადოდ ვერ მოემზადნენ საწარმოებიც — გაჭიანურდა ახალი სამძლავრეების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები. განიცდიან კვალიფიციური მუშაკებისა და თანამედროვე, დიდმწარმოებლური მოწყობილობის ნაკლებობას. კვლავ უადრესად დაბალია შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დონე. ამ და სხვა მიზეზების გამო საწარმოებმა გაზარდეს პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, შარშან ყოველი ტონა აგურა ჩაის გამოშვება მათ დაუჯდათ 1169 მანეთი, მაშინ, როცა დავალებით გათვალისწინებული იყო 954 მანეთი. ორივე საწარმომ დააკლო 2,2 მილიონი მანეთისაზე მეტი აგურა ჩაი.

მეურნეობები სავსებით შეძლებენ საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფას, თუ გაუმჯობესებენ მუშაობის ორგანიზაციას და შრომის შედეგებით დაინტერესებენ მეჩაიეებს. ახლა ხომ მათ განკარგულებაში თითქმის 60 ათასი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციაა. დასახულია ზუგდიდის ჩაის კომბინატში ნოემბრის შუა რიცხვებში ამოქმედონ აგურა ჩაის გამოშვების მექანიზებული ნაკადური ხაზი, სხვა საწარმოო სიმძლავრეები.

იმისათვის, რომ ავტანზოაროთ დანაკლისი, არ დავუშვათ შარშანდელი მარცხის გამორება, მივცეთ ქვეყანას გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის საუკეთესო ჩაის პროდუქცია, შესაძლებლობები გვაქვს და ისინი უნდა გამოვიყენოთ.

ვ. ბაბუაძე,
(საქინფორმის კორ.).

მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად

საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოები და ორგანიზაციები 1988 წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადადიან. ამავე დროს ძალაში შედის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომლის დებულებათა შესაბამისად უნდა განხორციელდეს ეს გადასვლა.

საწარმოს მთელი საქმიანობის საფუძველი იქნება სამეურნეო ანგარიში და მისი ყველაზე განვითარებული ფორმა — თვითდაფინანსება. ცხობილია, რომ მეურნეობრიობის მოქმედი სისტემის მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი საწარმოს მუშაობის შედეგებს ვერ უკავშირებს წარმოებისა და სოციალური სფეროს განვითარებას.

სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის მიღება ძირფესვიანად ცვლის საქმის ვითარებას. ამიერიდან ქარხნის საწარმოო და სოციალური განვითარება დამოკიდებული იქნება მისი კოლექტივის საქმიანობის შედეგებზე, მშრომელების მიერ გამომუშავებულ სახსრებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადაყვანა ხორციელდება დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმის პირობებში, სსრ კავშირის საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988-1990 წლების გეგმები.

გეგმაში წინათ გათვალისწინებული პროდუქციის ნატურალურ სახეობათა გამოშვების დავალების ნაცვლად შემოღებულია ახალი ცნება — სახელმწიფო შეკვეთა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციაზე. მას გეგმავენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და საკავშირო სამინისტრო. ჩვენი სამინისტროს სახელმწიფო შეკვეთაში შედის: ცემენტი, კლინკერი, შიფერი, რბილი სახურავი მასალები და იზოლი, საკედელი და არამდგენული სამენი მასალები, კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები, სანტექნიკური ნაკეთობანი და სხვა.

ნატურალური პროდუქციის ყველა დანარჩენ სახეობას, რომლებიც სახელმწიფო შეკვეთაში არ შედის, სამინისტროსთან შეთანხმებით დაგეგმავენ თვით საწარმოები გამსაღებელ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საწარმოებს აგრეთვე დაუგეგმავენ სამრეწველო პროდუქციის გამოშვებას ღირებულებით გამობატულებით, რაც 1988 წელს 191,2 მილიონ მანეთს შეადგენს.

დაგეგმილია, გაისად ჩვენს დარგში შრომის ნაყოფიერება 1987 წელთან შედარებით 104,5 პროცენტით გაზრდილა. შრომის ნაყოფიერების ზრდა გამოანგარიშებულია ახალი ობიექტების ამოქმედების გათვალისწინებით, ამასთან გათვალისწინებულია მოქმედი წარმოებების პერსონალის რიცხვის შემცირება 3 პროცენტამდე.

ეკონომიკური ნორმატივების, როგორც მეურნეობრიობის სამეურნეოანგარიშიანი მექანიზმის საფუძვლების, შემუშავებისას უპირველესად მოვითხოვთ საწარმოო სიმძლავრეებისა და მატერიალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, ნორმატივები სტაბილურია და ხუთწლედის განმავლობაში არ შეიცვლება.

ეკონომიკური რეფორმა ითვალისწინებს, რომ მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ბაზაზე ძირეულად გარდაიქმნას დარგის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების საქმიანობა, მათი მუშაობის მიზანი იქნება კვლევითი სამუშაოების მაღალი დონის მიღწევა, უახლესი ტექნოლოგიის შექმნა, რაც გააფართოებს გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტს.

ამ მიზნით 1988 წლის 1 იანვრიდან სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადადიან საშინ მასალათა მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გამოთვლითი ცენტრი, მატერიალური ბალანსების, გასაღებისა და კომპლექტაციის სამმართველო, გეოლოგიურ-საძიებო პარტია, ამ ორგანიზაციებს მომავალი წლიდან დაეგეგმებათ მოგება, მუშაკების შრომის ანაზღაურება პირდაპირ იქნება დამოკიდებული მათი საქმიანობის ეფექტიანობაზე, შესრულებული სამუშაოების ხარისხსა და ტექნიკური დონის ამაღლებაზე.

მუშაობის ახალ მეთოდზე გადასვლის დროს საწარმოთა საქმიანობის შეფასებისა და მათი შრომითი კოლექტივების მატერიალური წახალისების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია შეკვეთებისა და ხელშეკრულებების შესრულება. თუ პროდუქციის მიწოდების ვალდებულებანი 100 პროცენტით შესრულდა, მატერიალური წახალისების ფონდი 15 პროცენტით გაიზრდება, ხოლო შესრულების ყოველი პროცენტის დაკლებით — 3 პროცენტით შემცირდება. მატერიალური წახალისების ფონდის ზრდა ხორციელდება სამინისტროს ცენტრალიზებული ფონდისა და რეზერვის ხარჯზე.

თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადასვლის ძირითადი ამოცანაა დაქვემდებარებულ საწარმოთა მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, ჩვენი სისტემა არასახარბიელოდ გამოიყურება. 1987 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით, სამინისტროსა საკუთარ საბრუნავ სახსრებს 13,5 მილიონი მანეთი აკლია, აქედან ბანკის კრედიტით დაიფარა მხოლოდ 4 მილიონი მანეთი. ეს ნაკლებობა წარმოიქმნა ბოლო წლებში სესხის დაუფარობის გამო და, განსაკუთრებით, ისეთი მსხვილი საწარმოს სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად, როგორიც კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატია.

ამავე პერიოდში ბანკის და მომწოდებლებისათვის გადაუხდელმა თანხებმა 45 მილიონი მანეთი შეადგინა, დებიტორულმა დავალიანებამ 16,5 მილიონი მანეთი, ზენორმატიულმა ბანკის მიერ დაუკრედიტებელმა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგმა — 11 მილიონი მანეთი.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მომავალში ეს ყოველად დაუშვებელია. საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლამდე, მდგომარეობა უთუოდ უნდა გამოსწორდეს. ვიფიქრეთ, რომ წლის ბოლომდე ზენორმატიული ბანკის მიერ დაუკრედიტებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთები 5 მილიონი მანეთით შევამციროთ, ამათ შორის ზზა პროდუქციისა — 2 მილიონი მანეთით, ბანკისა და მომწოდებლებისათვის გადაუხდელი თანხებისა — 20 მილიონი მანეთით.

აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით.

როგორც ვთქვით, დებიტორული დავალიანება გაგზავნილი პროდუქციისათვის დღესდღეობით 20 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს, რაც, ცხადია, სამინისტროს ფინანსური სიძნელეების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა ვერ განხორციელდება, თუ დარგის მართვის ყველა რგოლს მუშაკთა ფართო წრე ღრმად არ შეესწავლის შესაბამის ინსტრუქციებს, მეთოდიკურ მითითებებსა და ნორმატიულ დოკუმენტებს.

ამ მიზნით ორგანიზებულია ხელმძღვანელი კადრების სწავლება, სხვადასხვა დონეზე, კერძოდ, საკავშირო სამინისტროს ბრძანების შესაბამისად, საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი და მისი მოადგილეები სწავლების კურსს გაივლიან სახალხო მეურნეობის საკავშირო აკადემიაში, სამინისტროს ეკონომიკური სამსახურების უფროსები — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, ხოლო ყველა დანარჩენი კატეგორიის მუშაკები — კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინსტიტუტში (ქალაქი კრასკოვო).

ამავე დროს საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების შეფასვლა ყველა რგოლში — მუშით დაწყებული და საამქროებისა და სამსახურების უფროსებით დამთავრებული, იმ მიზნით, რომ თითოეულ მუშაშვეს ესმოდეს ეკონომიკური რეფორმის არსი, საჭიროა ეს ცოდნა პრაქტიკულად გამოვიყენოთ ყოველდღიურად. ამ მიმართულებით თავიანთი მუშაობა უნდა გააქტიურონს, საქართველოს საშინ მასალათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან არსებულმა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებმა.

სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადასვლისათვის ეკონომიკური მზადყოფნის საქმეში სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თითოეული საწარმოს მიერ რეტაბელობის სიტყვა მაინც პარტიის ჰაიათურის საქალაქო კომიტეტმა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდა თქვან. „შრომის წითელ დროშის ორდენოსან ქალაქს სამედიცინო მომსახურება სანიმუშო უნდა ჰქონდეს.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოციალური სფერო — ჯანმრთელობის დაცვა

ქალალდებით ავადმყოფებს ვერ გამოკვებავენ

მწვავე სიგნალი

ჰიათურის საქალაქო საავადყოფო შესანიშნავ შენობაშია მოთავსებული. აქვს ეკეთილმოწყობილი პალატები, კაბინეტები, ლაბორატორიები, აღჭურვილია ჩინებული სამედიცინო დანადგარმოწყობილობით, მშრომელთა ჯანმრთელობას ემსახურება კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი.

თითქოს აქ ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, მაგრამ მთლად ასე არ არის. საავადყოფოს ნორმალური მუშაობისათვის ყველა პირობა როდი აქვს შექმნილი.

პირველ ყოვლისა წყლის პრობლემა დგას. წყალი აქ დროგამოშვებით მოდის, ცხელი წყალი არც არავის ახსოვს, თუ ოდესმე ყოფილა. ერთი სიტყვით, დაკეტილია თვეობით სამხაპეები და ონკანები.

— ვთხოვთ ქალაქდებს, ვგზავნით სხვადასხვა ინსტანციაში, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს, სამეული მაინც არ ჩანს, — გვითხრა საავადყოფოს მთავარმა ექიმმა ჯ. კურცალიამ.

არც კვების საქმეა მრგვარებული. შემოწმებისას საწყობი დაცარიელებული იყო. არ ჰქონდათ ხორცი, ბურღული, ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი. აქაური ავადმყოფების ულუფა ძირითადად გაყინული ხეკია. ყოველდღე ხომ ვერ შეეჭამთ. ამიტომ შინიდან მოგვაქვს სანოვაგეო, — დაიჩივლეს ავადმყოფებმა.

გავეცანით პროდუქტების მიღების სტატისტიკას, რამაც კიდევ უფრო დაგვწყვიტა გული, ვაკვირობის მუშაკებმა შვიდ თვეში საავადმყოფოს დააკლეს 2 ტონამდე კარტოფილი, 21 ტონა ბოსტნეული, 23 ტონა ხილი, 1.800 კილოგრამამდე რძის პროდუქტები, აგრეთვე 370 კილოგრამი ზეთი, 11 ათასი ცალი კვერცხი და ა. შ.

პროდუქტებით მომარაგებაზე ჰიათურის მუშათა მომარაგების განყოფილებიდან, საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან არაერთი წერილი და მიმართვა გაიგზავნა რესპუბლიკის ვაჭრობის, სამინისტროს, მინისტრის მოადგილეების ა. წილოსანის და შ. ლუხუტაშვილის სახელზე, საქსაბაჭომრეწვის ვაჭრობის სამმართველოს უფროსის და სხვათა მისამართით. ჰიათურის ხორცისა და რძის კომბინატის დირექტორს რ. ამყარდაძეს წერილთან ერთად მრავალჯერ ეახლა საავადმყოფოს წარმომადგენელიც, მაგრამ ყოველივე ეს წყლის ნაყვავა, არ გაჭრა ამ ადამიანებზე არავითარმა შეგონებამ, არად აგდებენ ავადმყოფებს და დაზეპირებულ პასუხს იძლევიან, — რესურსების სიმცირის გამო თქვენ თხოვნას ვერ ვაკმაყოფილებთო. თუმცა ვინ უნდა დააჯეროს ამ სიცრუით, სხვა რომ არაფერი, ჩვენში ახლა ბოსტნეულისა და ხილის მეტი რა არის?! ზოგი იმას ჩივის, ვერ ვასაღებთო, ჭიათურელ ავადმყოფებს კი დასანახადაც ეხატრებათ.

საავადმყოფოს ხელმძღვანელთა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაკების დაუდევრობით უნდა ავხსნათ. ისიც, რომ აქ ერთი ზომის სანიტარიული ტანსაცმელი მიუღიათ, რომელიც, თანაც, ყოველად ულაზათოა, ამიტომ ავადმყოფთა უმრავლესობა საკუთარ ტანსაცმელშია „გამოწყობილი“. არც მედიკამენტებით მომარაგებულია ყველაფერი რიგზე. საკუთარ ნარკოპრეპარატების მწვავე დეფიციტის გამო ავადმყოფთა პატრონები იძულებული არიან გადამყიდველებისაგან შეიძინონ. საკვირველია, მაგრამ ფაქტია: აფთიაქებსა და საავადმყოფოებში წამლებს მართლა წამლად ვერ ეძებ ვით, სპეკულანტებს კი რამდენიც გინდათ და რაც გინდათ, ყველაფერი აქვთ.

მანგანუმის ქალაქის მთავარ საკურნალო დაწესებულებას პრობლემები მეტად ბევრი აქვს. ეს გამოწვეულია ზოგიერთი ხელმძღვანელის ბიუროკრატიული განწყობილებით, რომლებსაც არაფრად ედარდებათ ავადმყოფთა საჭიროები. ეს ხელმძღვანელთა ნაწილი დავასახელეთ, ნაწილი თავად მიხვდება. ამ საქმის გამოსწორებისათვის ვის რა ეკალაბა გადამწყვეტი სიტყვა მაინც პარტიის ჰაიათურის საქალაქო კომიტეტმა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უნდ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვამ განამტკიცა ვანისა და წულუკიძის რაიონების ეკონომიკური პოტენციალი. ინტენსიფიკაციის საშუალებათა ეფექტიანი გამოყენება ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

ამის დასტურად მთელი რიგი ფაქტები დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის და აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიათა გაერთიანებულ სხდომაზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს საკითხი სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად ვანისა და წულუკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების მუშაობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

როგორც ანალიზმა ცხადყო, ამ მიმართულებით მიღწეული გარკვეული ძვრების მიუხედავად, აქ ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომელთა თავიდათავი ის არის, რომ აღნიშნული რაიონული საბჭოების აღმასკომებში არ შეუმუშავებიათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის ერთიანი, მწყობრი სისტემა. საწარმოებსა და მეურნეობებში კვლავინდებურად დიდია ხელის შრომის წილი. ნელი ტემპით მიმდინარეობს არსებული მანქანა-მოწყობილობის განახლება, აგრეთვე ახალი ტექნიკის დანერგვა. სერიოზული ნაკლოვანებანია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საქმეში. მეურნეობრიობის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვის საკითხები თვალსახედვის არიდან ჩრჩებათ საბჭოების შესაბამის მუდმივ კომისიებს.

დეპუტატებმა დასახეს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი. წულუკიძისა და ვანის რაიონული საბჭოების აღმასკომებს, კერძოდ, რჩევა მიეცათ, განიხილონ სპეციალური სამსახურის შექმნის საკითხი, გააქტიურონ და უფრო მიზანდასახული გახადონ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებთან მოქმედი დანერგვის ჯგუფების მუშაობა. შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სხვა უწყებებს.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲐ, ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ — „ᲮᲣᲗᲘᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲘᲐᲜᲘᲡ“ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲛᲘᲨᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐᲯᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲘᲐᲡ ᲓᲐᲛᲔᲠᲘᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲜᲐᲛᲘᲨᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲡᲐ ᲙᲔᲜᲫᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲠᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲯᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲘᲐᲡ:

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

1. **ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲠᲘᲫᲔ ᲝᲗᲐᲠ ᲘᲠᲐᲙᲚᲘᲡ ᲫᲔ,** პოეტი — პოემების კრებულისათვის „ოთხი კომკავშირული“ („ნაკადული“, 1986) და 1986-1987 წლებში დაწერილი ლექსებისათვის.

წარმოადგინა საქართველოს მწერალთა კავშირმა.

2. **ᲮᲐᲚᲐᲓᲝᲜᲝᲕᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲝᲛᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ,** პოეტი — ლექსების წიგნისათვის „ძველი კოლხური ჰანგები“ („ფერანი“, 1986).

წარმოადგინა საქართველოს მწერალთა კავშირმა.

ᲞᲠᲝᲖᲐᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲜᲝᲓᲘᲐ ᲓᲘᲜᲐᲠᲐ ᲛᲘᲰᲔᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, მხატვარი — ბოლო წლებში შესრულებული გრაფიკული სერიებისათვის: „ჩემი საქართველო“ და „პლანეტის ექო“.

წარმოადგინა საქართველოს მხატვართა კავშირმა.

ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲘᲕᲘ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲫᲔ კომპოზიტორი — 1986-1987 წლებში შექმნილი ნაწარმოებებისათვის (კანტატა, რომანსი და შვიდი სიმღერა).

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ ᲪᲘᲐᲚᲐ ᲜᲘᲡᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ, ᲙᲘᲚᲐᲫᲔ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ, არქიტექტორები — ქ. ზუგდიდში ადმინისტრაციული შენობის არქიტექტურული გადაწყვეტილისათვის.

წარმოადგინა საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა.

ᲙᲘᲜᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲓᲠᲝᲜᲯᲝᲕᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ ᲫᲔ, რეჟისორი, **ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲔᲛᲘᲠᲣᲠᲐᲖ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ, ᲨᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲔᲠᲘ ᲞᲐᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲫᲔ,** ოპერატორი, **ᲮᲐᲠᲑᲐᲫᲔ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲔᲖᲘᲐᲡ ᲫᲔ,** მსახიობი, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის „ნოდარ დუმბაძე“.

წარმოადგინეს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა.

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔ ᲘᲛᲔᲠ ᲐᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘᲡ ᲫᲔ, მწერალი — პუბლიცისტური წიგნისათვის „სოფლის აღმაშენებელი“.

წარმოადგინა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციამ.

* * *

სახელმწიფო პრემიების კომიტეტი სთხოვს შემოქმედებითი ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, მოაწყონ წარმოდგენილ ნამუშევართა ფართო და საფუძვლიანი განხილვა და მოსაზრებანი გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: 380018, თბილისი, რუსთაველის პრ. № 8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, ტელეფონები: 93-76-04, 99-64-82, 99-91-45.

Ն. Օ. ᲠᲘᲩᲙᲝᲕᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდისა და ინდოეთის მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი ინდოეთში ჩავა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად მომდინარე წლის ნოემბრის შუამდე დეკადაში. იგი მონაწილეობას მიიღებს ინდოეთში სსრ კავშირის ფესტივალის გახსნის ცერემონიაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მომავალი ვიზიტი შეესაბამება სსრ კავშირისა და ინდოეთს შორის არსებული გულთბილი და მეგობრული ურთიერთობის, ორი ქვეყნის უმაღლესი დონის ვიზიტების გაცვლის ტრადიციებს. ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ვიზიტს, როგორც კიდევ ერთ ნიშანსვეტს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებაში.

ᲣᲙᲘᲠᲘᲕᲘᲡᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲘᲖᲜᲘ—ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. აქ დაიწყო ბირთვული გამოცდების შეწყვეტის, საბოლოო ანგარიშით, მათი შეწყვეტის შესახებ სრული მასშტაბის საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების პირველი რაუნდი.

მორიგებას მისი მოწყობის თაობაზე მიაღწიეს 1987 წლის სექტემბერში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ამერიკის შერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის შეხვედრის დროს და დაადასტურეს მოსკოვში ჯ. შულცის ამასწინანდელი ვიზიტის დროს. მორიგების თანახმად, მხარეებმა პირველ ეტაპზე უნდა შეათანხმონ კონტროლის ეფექტიანი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდების შეზღუდვის თაობაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1974 წლის ხელშეკრულების და მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ბირთვულ აფეთქებათა შესახებ 1976 წლის ხელშეკრულების რატიფიცირებას, აგრეთვე იმას, რომ დაიწყონ ბირთვული გამოცდების სრული შეწყვეტის საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ბირთვული გამოცდების შემდგომი შეალედური შეზღუდვების შეთანხმება, რაც განიარაღების ეფექტიანი პროცესია.

სსრ კავშირის დელეგაცია იმედოვნებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულებებისადმი კონტროლის ღონისძიებების შემუშავება რაც შეიძლება მალე დამთავრდება და შესაძლებელი იქნება შემდგომი წინსვლა ყოველგვარი ბირთვული აფეთქების შეწყვეტის გზაზე.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გააკეთა განცხადება, რომელშიც მიესალმა ბირთვული გამოცდის შეზღუდვისა და, საბოლოო ანგარიშით, მისი შეწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის სრულმასშტაბიანი მოლაპარაკების პირველი რაუნდის გახსნას ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ. მორიგება მისი მოწყობის შესახებ მიღწეული იყო მიმდინარე წლის სექტემბერში სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ვაშინგტონის მოლაპარაკების დროს.

პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა მოლაპარაკების დაწყებულ პროცესს, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიიჩნია „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ განხორციელების განგრძობა, რომელიც, მისი მტკიცებით, „არავის საფრთხეს არ შეუქმნის“.

როგორც პრეზიდენტის განცხადებიდან ჩანს, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები „კვლავინდებურად დაეყრდნობა ბირთვულ იარაღს“ თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, იგი განაგრძობს ბირთვულ გამოცდებს. როგორც არაერთგზის აღიარებ რეიგანის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, ბირთვული გამოცდები ამერიკის შეერთებულ შტატებს სჭირდება აგრეთვე „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის შემუშავებისათვის.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიის დელეგატები შეუდგნენ დღის წესრიგის მორიგი პუნქტის განხილვას: „ავღანეთის მდგომარეობა და მისი შედეგები საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის“.

ისწრაფვიან რა ხელი შეუწყონ ავღანეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის დაჩქარებას, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სირიის დელეგაციებმა შეიტანეს იმ რეზოლუციის „ტრადიციული“ პროექტის მთელი რიგი შესწორებანი, რომელსაც ყოველწლიურად აყენებს პაკისტანის დელეგაცია. ეს შესწორებანი მიზნად ისახავენ „ავღანეთის მიმართ ჩაურევლობის პრინციპის მკაცრ დაცვას“ და „ენენეთის მოლაპარაკებაზე პროგრესის მიღწევას“, რომელსაც ავღანეთი და პაკისტანი მართავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის დიეგო კორდოვესის მეშვეობით.

დისკუსიის დროს გამოსულმა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდულ ვაქილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მზად არის მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის პროექტის შემუშავებაში, რომლის მიღება ხელს შეუწყობს ავღანეთის მდგომარეობის უსწრაფეს მოწესრიგებას. დარწმუნებული ვართ, რომ ავღანეთში ომის შეწყვეტისა და მის გამო მდგომარეობის ნორმალიზაციის გზაა ეროვნული შერიგების კურსის განხორციელება და ყენენეთის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება, განაცხადა მან.

მშვიდობიანი საშუალებებით ავღანეთის მდგომარეობის მოწესრიგების უსწრაფესი მიღწევა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტასაც ახლა ხმა-რდება საბჭოთა კავშირის მეცადინეობა საერთაშორისო ასპარეზზე, თქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა ა. მ. ბელონოგოვმა. გულწრფელად გვსურს ავღანეთი იყოს დამოუკიდებელი, ნეიტრალური, მეუმეხრობელი და, ბუნებრივია, სსრ კავშირის მეგობარი ქვეყანა. ავღანეთის მდგომარეობის მოწესრიგების მიზნები უნდა გახდეს, ჯერ ერთი, ავღანეთის დემოკრატიული. რესპუბლიკის საქმეებში ჩარევის შეწყვეტა და მისი გარანტირებული განუიარაღებლობა, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა ჯარების გაყვანის განხორციელებას, მეორეც, ავღანეთის ხალხისათვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ თვითონ მოახდინოს ქვეყანაში ვითარების ნორმალიზაცია და გადაწყვიტოს ყველა სხვა საშინაო საქმე. ამ მიზნების მიღწევა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ავღანეთ-პაკისტანის მოლაპარაკების გზით, რომელიც ენენეთში მიმდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის დ. კორდოვესის მეშვეობით, აგრეთვე ეროვნული შერიგების კურსით, რომელიც ავღანეთში ხორციელდება. ეს არის ორი პარალელური, ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთშემავსები პროცესი. სწორედ მათს წინსვლას ხმარდება ახლა ავღანეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევა, რომელსაც სავსებით გაგებით ეკიდება და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირი და არა მარტო იგი.

ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ საფონდო ბირჟაზე აქციების მკვეთრი დაცემა ბევრი საშუალო ამერიკელისათვის კატასტროფად იქცა (გაზეთებიდან).

ᲡᲐᲑᲘᲠᲟᲝ ᲪᲘᲤᲐ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲮᲕᲔᲠᲐᲚᲘ.
ნახატი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსიდან“.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

◆ **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** საფრანგეთის დედაქალაქში გამოფენით „მოლდავეთის ხელოვნება და ხალხური ტრადიციები“ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საფრანგეთში. საბჭოთა კავშირის დღეები, რომელიც სახელოვან იუბილეს — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს ეძღვნება. დღეების ფარგლებში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და დეპარტამენტში მოეწყობა მრავალი ექსპოზიცია, რომლებიც ასახავენ საბჭოთა მოლდავეთის კულტურას, ისტორიას, დღევანდელობას.

◆ **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ისრაელის **პრეზიდენტი ხაიმ ჰერცოგი. თეთრ სახლში მას მიიღებს პრეზიდენტი რეიგანი.** ვიზიტის დროს ისრაელის პრეზიდენტი შეხვდება ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯორჯ შულცს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს კასპარ უაინბერგერს. როგორც მოელიან, ამერიკის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებთან ხ. ჰერცოგის შეხვედრებზე განიხილვენ ახლო აღმოსავლეთის ვითარებას.

◆ **ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ᲣᲩᲘᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ** აუქციონი გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ **ᲒᲠᲐᲓᲔᲪ-ᲙᲠᲐᲚᲝᲕᲔᲨᲘ.** აუქციონზე, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მოქმედი წესების თანახმად, გაიყიდა ის ნივთები, რომლებიც შარშან მატარებლებში დარჩათ და აღარ მოუთხოვიათ მგზავრებს, რამდენიმე საათის მანძილზე ქალაქის ცენტრალურ ვაგზალში გაყიდეს ათასზე მეტი ნივთი, რომლებიც აღმოაჩინეს საგარეუბნო და საქალაქთაშორისო მატარებლების ვაგონებში — ყოველნაირი ჩანთები და ქოლგები, სპორტული ფეხსაცმელი, ფერადი ტელევიზორიც კი, რომელიც მთელი წლის მანძილზე არ მოუკითხავს მის გულმავიწყ პატრონს.

◆ ᲐᲨᲨ

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. ამერიკის „მორტონ ტოოკლის“ კორპორაციამ ორშაბათს იუტის შტატის პოლიგონზე მოაწყო მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდებისათვის განკუთვნილი მყარსათბობიანი მაჩქარებლის მორიგი გამოცდა. ექსპერიმენტს უნდა ეჩვენებინა რგოლური მამჭიდროებლის საიმედოობა მყარსათბობიანი მაჩქარებლის პირაპირებზე. სწორედ ერთი ასეთი მამჭიდროებლის დეფექტმა, რომელიც „მორტონ ტოოკლმა“ დაამზადა, გამოიწვია შარშან კოსმოსური ხომალდის „ჩელენჯერისა“ და მისი ეკიპაჟის შვიდი წევრის დაღუპვა. როგორც საკვლევ კორპორაციის წარმომადგენელმა როკი რაბმა აცნობა, გამოცდის წინასწარი შედეგები დამაიმედებელია.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲘᲞᲝᲕᲔᲡ ᲛᲝᲞᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

ᲑᲝᲜᲜ. ერთი წუთითაც არ წყდებოდა ამა წლის აგვისტოში ჰოლანდიაში მოპარული იმპრესიონისტთა 18 სურათის ძებნა, რომელთა შორის იყო სახელგანთქმული ოსტატების რენუარისა და ტულუზ-ლოტრეკის ტილოები. აქ, დასავლეთ გერმანიის ქალაქ ზოლინგენში (ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარე), დაკარგული 18 სურათიდან აღმოაჩინეს 17. ისინი სპეციალისტებმა რამდენიმე მილიონ დოლარად შეაფასეს.

როგორც ადგილობრივი სისხლის სამართლის სამმეცნიერო წარმომადგენლები იუწყებიან, სურათებს მიაგნეს ამ ქალაქის მცხოვრებლების — 40 წლის უმუშევრის და მისი 27 წლის „თანაშემწე“ ქალის ბინაში. ისინი დააპატიმრეს. იმიტომ, რომ ეჭვმეტანილი იყვნენ ბინის გაქურდვაში. ჰოლანდიაში ამ საქმის გამო ეჭვმეტანილია აგრეთვე ორი კაცი. ახლა პოლიცია არკვევს, ვინ მოიპარა ეს სურათები, როგორ მოხვდნენ ისინი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სად არის მეთვრამეტე ნაწარმოები.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ 11 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲒᲝᲓᲐ

ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘ. ლისაბონის სანტა კრუუის კლინიკაში ცნობილმა კარდიოქირურგმა კეროშ დი მელუმ წარმატებით განახორციელა პორტუგალიაში პირველი ადამიანის ხელოვნური გულის იმპლანტაცია. მექანიკური გული, რომელიც პორტუგალიაში თვითმფრინავით ჩამოიტანეს შვეიცარიის კარდიოლოგიური კვლევის ცენტრიდან, მიიღო 54 წლის ლისაბონელმა მცხოვრებმა, რომლის მდგომარეობა უიმედოდ იყო მიჩნეული, ოპერაცია 11 საათს გრძელდებოდა. ხელოვნური გული დროებით შეცვლის ნამდვილს, რომლის „სამუშაო მდგომარეობაში“ მოყვანას შეეცდებიან ექიმები. თუ ამას ვერ მოახერხებენ, პაციენტი ამარაგით იცოცხლებს, სანამ არ ამოვიან დონორის შესაფერის გულს.

ხელოვნური გულის იმპლანტაცია სათვალავით მეთექვსმეტეა ევროპაში. პორტუგალიაში მანამდე განხორციელდა გულის პირდაპირი გადანერგვის 15 ოპერაცია, რომლებიც წარმატებით დაგვირგვინდა.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

„ᲑᲠᲐᲫᲘᲜᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲐᲦᲘᲙᲕᲔᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲐᲮᲝᲡ ᲘᲒᲘ“.

Კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘ.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ვერასდროს ვერ მოიხსნის ზნეობრივ პასუხისმგებლობას თავისი წევრის ძალიან ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ პასუხისმგებლობისაგან თავის დასახსნელად ბურჟუაზიულ ძალოსოფოლოგებმა და იურისტებმა ბიოლოგია მოიშველიეს და ეეცადნენ დაემტკიცებინათ, თითქოს დანაშაული სოციალური მოვლენა კი არ არის, ბიოლოგიური მემკვიდრეობის, გენების ბუმოქმედების შედეგი იყოს. ეტყუეთი ფაქტებით ეს მოსაზრება მრავალგზის გაბათილეს მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა. ბევრმა დიდ ძალისხმევა მიუძღვნა ამ პრობლემას ებატკვრული ნაწარმოებები. რაღა შორს წავიდეთ, ილია ჭავჭავაძემ თავის „სარჩობელაში“ უდიდესი მხატვრული დაჯერებლობით ასახა საზოგადოების უპასუხისმგებლობით განპირობებული დანაშაულებრივი ტრაგედია, რომლის უნებლიე მოხაწილე — ბეჟანი ასე მიმართავს ნეტარებას: „ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲕᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ?“

**ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲗᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲕᲰᲕᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ. ᲡᲣᲚ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐ ᲘᲥ ᲛᲘᲒᲐᲚᲐᲗ ᲓᲐ ᲘᲥ ᲓᲐᲯᲣᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲘᲠ. ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲕᲘᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲐᲗ, ᲕᲘᲜ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ. ᲒᲣᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲘᲛᲬᲐᲠᲔᲐ, ᲛᲘᲜᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ; ᲘᲥ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ“.

ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲗᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲕᲰᲕᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ. ᲡᲣᲚ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐ ᲘᲥ ᲛᲘᲒᲐᲚᲐᲗ ᲓᲐ ᲘᲥ ᲓᲐᲯᲣᲓᲒᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲘᲠ. ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲕᲘᲜ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲐᲗ, ᲕᲘᲜ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲗ. ᲒᲣᲚᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲘᲛᲬᲐᲠᲔᲐ, ᲛᲘᲜᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ; ᲘᲥ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲠᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘ“.

**ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲗᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲕᲰᲕᲚᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐ

მწერალ გიორგი სანადირაძის რომან-ქრონიკა „ნადირობა მგლებზე“, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „განათლება“, ეხება საქართველოს მთიანეთისა და ჩრჩილი-ინგუშეთის ტერიტორიაზე მოქმედი ბანდიტთა საკმაოდ დიდი ჯგუფის სალიკვიდაციოდ განხორციელებულ ოპერაციას.

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გადაწყვეტილებით ამ ბანდის ლიკვიდაცია დაეკისრათ ქართველ ჩეკისტებს ალექსი ინაურის ხელმძღვანელობით.

გთავაზობთ ამ წიგნის რამდენიმე ნაწყვეტს.

ნადირობა მგლებზე

1.

ვიწარ ბილიკი დერეფანს ჰგავდა. ცხენები ფრთხილობდნენ, ბორძიკობდნენ, არ ეპუებოდნენ მხედრებს. როგორც იყო, გაიარეს ეს მონაკვეთი და მოულოდნელად უზარმაზარი გამოქვაბულის წინ აღმოჩნდნენ. გამოქვაბულის გარდგალმო — ხმირი ბუჩქნარი, მოშორებით — მაღალი კლდე. საგუშაგო? გამოქვაბულის წინ პაწია, მაგრამ გულდგულ მოსწორებული მინდორი.

ახმახმა რაღაც თქვა.

— მოვედით! — თარგმნა აბუბაქარმა.

გამოქვაბულიდან საშუალო ტანის მამაკაცი გამოვიდა.

„ის არის, — იცნო ვარლამ შადურმა. სუთათთ იცნო. — ახმად ხუჩბაროვი!“

თავითფეხამდე შეიარაღებული ყაჩაღები და მათი მეთაური მასპინძლობენ საბჭოთა ხელისუფლების სამ უიარაღო წარმომადგენელს!

ხუჩბაროვმა თავი ასწია. მოდუნებული მზერა. ჩამკრალი თვალები. თქვა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ავი განზრახვის მქონე კაცი არ ამოვლიდა ამოდენა გზას... არც ჩვენი გვაქვს ავი განზრახვა...

— ის, რისთვისაც აქ ამოვედით, ღირს ამად!

— თქვენი რწმუნებანი? — იკითხა ხუჩბაროვმა.

—სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან გახლავართ.

— მინდა ვიცოდე, რა უფლებით ხართ აღჭურვილი!

სტუმარმა მოწოლილი ბოღმის შეკავება შეძლო. გაიღიმა. ეს იყო წამი, როცა ეეცარ წყენას გამოუსწორებელი ბიანის მოტანა შეეძლო. ამ გარდატეხის საზღვარზე მყოფს, ხსნის გასაღები ისევ მოწინააღმდეგემ შეიჭიჩა.

— მთას თავისი კანონები აქვს. მოდით, ამჯერად ამ კანონს დავემორჩილოთ. რახან მესტუმრეთ, დროებით გადავდოთ ჩვენი მოვალეობანი.

არ ვიცი, პირადად თქვენ რა მოვალეობას გულისხმობთ, მაგრამ მე სწორედ იმ უდიდესმა მოვალეობამ მომიყვანა, რომელიც ჩემმა ხელმძღვანელობამ დააკისრა. ზოგი გაურკვეველი რამ უნდა გაირკვეს.

— ვიცი, — თქვა ხუჩბარმამ, — მაგრამ, მოდით, ჯერჯერობით გადავდოთ ეს საუბარი. მთაში სტუმარი მუდამ დაფასებული იყო. მინდა მასპინძლის უპირატესობანი ისარგებლო. ამტომ სვენს [illegible] ურ სამყოფელში გეპატიჟები[illegible] — ცოტა ხნის დუმილის შეკ[illegible]ვ ან განაგრძო: — [illegible] როგორ გავხდი [illegible]ბრაგი? [illegible]აფერი უბრალოდ დაიწყო. [illegible]ანი სოფლის ბოლოს ტყე იყო. [illegible] ტყის ნაწილი გაკაფე. სათესად მინდოდა. ვიღაცამ მთავრობაში დამაბეზღა. დამაჯარიმეს. კი, ბატონო, იყოს ასე... მაგრამ მინ რად ჩამიტარეთ ჩხრეკა? მოვიდნენ სოფლის ხელისუფლების წარმომადგენლები... (ირონიულად გაიღიმა) აქტივისტები!.. დაძებნეს ყველაფერი, ამაფორიაქეს...

— ამან გაგაღიზიანა?

—მოდი და ნუ გაღიზიანდები, როცა სულში ჩაგაფურთხებენ!

— მარტო ტყის გამო ხომ არ ყოფილა ეგ! გადამალული შაშხანა გიპოვეს... ასე ვიცი მე... საიდან გაჩნდა იგი თქვენთან?

— ვიყიდე. ადრე ვიყიდე... სამართლე თუ გნებავთ, დედაჩემის ძმამ მაყიდინა ძალად... ფულის ნაწილი იმან მომცა...

— მე უკვე მივხვდი ერთ რამეს, — განაგრძო მცირე ხნის შემდეგ ახმადმა, — თქვენთან ბრძოლას აზრი არა აქვს. დიდი ხანია მივხვდი. მაგრამ შეიძლება მთიდან დაგორებული ქვის შეჩერება? მე ხალხი მახლდა.. ხალხს ჩემი იმედი ჰქონდა... ისინი მოიჭრნენ. მე კი უკვე ვიცოდი: მათი და ჩემი ბრძოლა უაზრო იყო. და, იცით, როდის მერე დაიწყო ეს ორჭოფი? ოსმან გუბეს დაჭერის შემდეგ. იგი ხომ ჩემმა უახლოესმა მეგობარმა ოსმანმა ჩაგაბარათ?!—გახსოვთ ალბათ, ასეთი ბრაგი — ოსმან შადიევი. მანვე აამხედრა ბიჭები ხასან ტერლოევის წინააღმდეგ. შეიძლება ეს უოსმანოდაც მოხდა... არ ვიცი... ტერლოევი ძალიან აღიზიანებდა ყველას. ვიდრე გერმანელების სიახლოვეს გრძნობდა, ფეხზეც მკვიდრად იდგა... მერე მისი ხმელი ტყვყვა აღარავის აღელვებდა... მოკლეს საწყალი... ღამით მოკლეს... როცა საბუთებს წვავდა...

2.

...**აქედან** ხელისგულივით მოჩანს მთელი ხეობა. მთები, ბილიკები. მდინარისპირი.

— შესანიშნავი ადგილია! — უთხრა შადურმა გიორგი გუჩმაზაშვილს, — ჩიტის გადაფრენაც არ გამოგეპარება.

გიორგის პასუხი არ გაუცია. რატომღაც დაღვრემილი ჩანდა. ხომ არ შეშინდა? გიორგი გუჩმაზაშვილი მთელ იმ არემარეში ცნობილი იყო როგორც უშიშარი, მამაცი ჩეკისტი. რა ენიშნა ახლა? შეიძლება ამის მიზეზი ჩოკა მაგომაა? ჩოკა მოშორებით დგას და გამიმწყვეტად უღიმის გიორგის. ისინი შეხვედრიან ერთმანეთს! ეს გიორგისაც უთქვამს. მაგრამ ჩოკა ყოველთვის უვნებლად დაუსტებებოდა ხოლმე.

— ბატონო შადურო! — დაიწყო ახმადმა, — მე გადმომცეს ნასან ტერლოევის ვაჟის — მუჰამედის მოკითხვა. გავიგე, გალალებულად ცხოვრობს თურმე. ადრე იყო იგი ჩემთან. მართალი გითხრათ, გულით მიხარია, რომ ასე წარმართა თავისი ცხოვრება. მან ბევრი რამ კარგი მიამბო თქვენზე.

შადურს თითქოს არ გაუგონია, მოჭრა:

— მუჰამედმა თქვენ შეწყალებისა და ხელმეუხებლობის საბუთი ამოგიტანათ, რატომ არ მოგვაწვდინეთ ხმა?

ხუჩბაროვის უსიცოცხლო თვალებში წამით გაიელვა ნაპერწკლებმა.

— ყალბი გვეგონა...

ახმადს უკვე აშკარად აღარ ესიამოვნებოდა ეს საუბარი. მოსულთ ზურგი შეაქცია და თავის ბიჭებს გასძახა: სასწრაფოდ საუზმე მოამზადეთო.

საშუადღეოზე ასული მზე სასიამოვნოდ იბზინებოდა.

— ახმად, — თქვა შადურმა მშვიდად, გამოკვეთილად, — ახლა მე მინდა ვისარგებლო სტუმრის უპირატესობით.

— ბატონო? — რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინში გაიტრუნა ახმადი.

— მე უფლებამოსილი ვარ ჩვენი მთავრობის სახელით მოგელაპარაკო...

ახმადი დუმდა.

— ჩვენს მთავრობას სურს დაუბრუნდე ოჯახს და მშვიდობიან ცხოვრებას მიჰყო ხელი... ბანდიტების ჯგუფი უნდა დაიშალოს.

ახმადი ელოდა ამ წინადადებას.

გაქვავებული იდგა. თავისი საფიქრალით იყო გართული.

— გარანტია? — იკითხა ყრუდ.

— სრული ხელშეუხებლობა. მე შეგახვედრებ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ინაურს... შენ დარწმუნდები ჩემი სიტყვების სისწორეში...

— მჯერა! — მთლად დაებზარა ხუჩბაროვს ხმა. — მჯერა.

მას ისევ უმეორებენ წინადადებას, მოსალაპარაკებლად ეახლოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს.

— ეს ახლავე უნდა გავაკეთო?

— ორჭოფი გაიჭოლა ახმადის ხმაში.

—ახლავე. ვითარება დაძაბულია. მოვათავკუდოთ ეს საქმე!

— არა, ახლა არ შემიძლია. — ძლივს ამოღერღა უარი.

— რატომ? რა გიშლის ხელს?

— არის მიზეზი, უფრო ყოფითი ხასიათისაა.

— აქ არაფერია გასართულებელი. წამომყევი თბილისში. შეგახვედრებ გენერალს. ერთხელ და სამუდამოდ დავგმოთ დანაშაულობებით სავსე ცხოვრება.

ახმადმა გულზე გადაიჯვარედინა ხელები. ეს მორჩილების ნიშნავდა.

— მე დიდი ხანია ვფიქრობ ამას. ბევრი ცოდვა სხვის მაგივრად მაქვს აკიდებული. ყველაფერს მე მაბრალებენ. ძნელია სახელიან აბრაგად ყოფნა.

ახმადი ჭუმბანობდა.

— შენს გონიერ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მრავალ ადამიანთა სიცოცხლე. რამდენი კაცია შენს ხარბში? ჯოდა, ითამზეზე უნდა იფიქრო. შენი უარი მრავალ გართულებას გამოიწვევს. ჩვენსა კომიტეტსა გადაწყვეტა ბოლო მოუღოს ამგვარ თარეშს. ყველაფერი მზად არის. ბრძანებანი გაცემა საჭირო და ყველანი დაიღუპებით. ეს იქნება უაზრო სხსხლისღვრა. ამტომაც ვარ მე აქ... ჩვენი ჰუმანური კანონის გამო. სიცოცხლის შენარჩუნებას გპირდებით. ჩვენი მთავრობის სახელით გპირდებით. ჩვენი მთავრობა სწორ გზას ‘ გირჩევთ...

— არ ვიცი... არ ვიცი... — ირიბი ხუჩბაროვი.

— პასუხს ველი!

— თანახმა ვარ. — ხმა სულ გაებზარა ხუჩბაროვს. — თანახმა ვარ, მაგრამ ორი თვე უნდა მაცალოთ. ბატონ გენერალსაც ასე გადაეცით. ორი თვის თავზე შევხვდები. მანამდე ჩემს საქმეებს მოვაგვარებ. ორი თვე მეყოფა. კი, ეხლეთ ჩემს სიტყვას.

— ჩავიდეთ თბილისში და იქიდან გაგიშვებთ... შენც ხომ უნდა ეხლო ჩემს სიტყვას?

ახმადს თვალები აეშლერა, ჩაუსისხლიანდა.

„მოტყდა. მგონი საბოლოოდ დავემორჩილე!“

—ვაქაკაური სიტყვა მომეცი!

— გახელებისა და მოუთმენლობის სიმი ტოკავდა ხუჩბაროვის ხმაში. — ჰო, შემომფიცე!

ამას ნაღდად არ ელოდა შადური. გადახედა თავის თანმხლებთ. წამიერი გასაუბრება იყო ეს. თვალებთა გასაუბრება. უნებურ ღიმილს შეეძლო ძირფესვიანად მოეშთო ასე წვალებით მოპოვებული თანხმობა.

მთელი სერიოზულობით ასწია თავი.

—ვფიცავ, — თქვა ხმამაღლა და რამდენიმე უაზრო წინადადება წაილუღლუღა. ხუჩბაროვი თვალს არ აცილებდა მის სახეს. მისი ტუჩების მოძრაობას, ჩანდა — იგი ქმაყოფილი დარჩა ამ რიტუალით. გახალისდა.

ამასობაში სუფრაც გაეწყო...

3.

...**შადური** წამოდგა.

— მაშ, მივდიოართ? — მიუბრუნდა ახმადს.

— ორი თვის შემდეგ, — აღარ გადათქვა მიცემული პირობა ახმადმა.

— ასე გადავცე გენერალს?

— ვაქაკაური სიტყვაა!

ხელიხელს მისცეს და ცხენები მოეკეთხეს.

— მთავარ გზამდე გაგაცილებთ— თავმომწონედ წარმოთქვა ხუჩბაროვმა. — ვფიქრობ, აწი უშიშრად შემიძლია სიარული. ასეა, ხომ?

— ასეა. — მაშინვე გამოეპასუხა ვარლამი...

ხეობაში სიჩუმე სუფევდა. ორწყალის ხიდთან რომ ჩავიდნენ, ხუჩბაროვმა თავი ასწია. გაქვავდა: ხიდზე გენერალი მოაბჯენდა!

მომეჩვენაო, ეგონა.

მაგრამ თვით ფონი — რუხი კლდეები და ზურგიდან დაჩრეტილი მზე კიდევ უფრო ხაზგასმულს ხდიდა შშვიდი ნაბიჯით მომავალი მამაკაცის კონტურებს.

რა აღიქვა კიდევ მისმა მზერამ? ხიდს გადალმა მდგომი შავი მაქანა.

გენერალს მანქანა ელოდება!

მაგრამ ვის ელოდება თვით გენერალი?

ახმადი შეცბა. წამით გახედა გვერდით მდგომ შადურს. პროფილი დაინახა მხოლოდ. არ მოეწონა მისი სიმშვიდე. აქ რაღაც ხდება! აქ რაღაც ხდება!!! რეკდა მისი გონება. ხაფანგი? უცაბაღრი, მომზვანო ჩრდილი დაედო სახეზე. ჩრდილი, ყავისფერში რომ გადადის თანდათან.

ჩოკაც მონუსხულივით მისჩერებოდა მისკენ მომავალ გენერალს: საუცხოოდ მორგებული ფარაჯა, გამოზომილი ნაბიჯი. გამჭოლავი მზერა, რომლის არიდან

გასხლტომა შეუძლებელია თითქმის.

ღიმილი!

გენერლის ღიმილი.

ძველ, გადაკარგულ ნაცნობს რომ შეხვდებიან მოულოდნელად, ამგვარი გამომეტყველება შეგიგია ახმადმა გენერლის სახეზე. მისი დაბინდული გონება შეეცადა ამ გულითადობის ფესვებში ჩაწვდომას. ამაოდ. რაც უფრო მეტად მცირდებოდა მანძილი მასსა და გენერალს შორის, მით უფრო ვერ მოეძებნა ამ მოულოდნელი შეხვედრის მიზეზი. ეს ყველაფერი თითქოს სხვას ეხებოდა. და ამ „სხვას“ ახლა გვერდიდან ჰვრეტდა, ჰვრეტდა უცხო თვალით. მაგრამ აი გასრულდა ეს წუთიერი მონუსხვა. დადგა ურთიერთობათა გარკვევის ჟამი.

— აღექსი ინაური — თქვა გენერალმა და ხელი გაუწოდა. ახმადის სახეზე ჩრდილმა გადაარბინა. იგი აშკარად აღელდა ამ სახელის ხსენებაზე. „ნუთუ გავები?“ — ხმაურით გარბოდა სისხლი გონებისაკენ. მაგრამ გენერალი მარტო იყო. ამან კიდევ უფრო ააფორიაქა. მისი პატივმოყვარეობის პატრუქს ბოლომდე აუწიეს თითქოს — ერთბაშად გასწორდა მხრებში. თვალებში შუქი გაუკრთა. გამოწოდებულ მარჯვენას ორივე ხელი შეაგება.

—თქვენისთანა კაცის სტუმრობას ნამდვილად არ ველოდი! — თქვა.

— რას იზამ,— გაიღიმა გენერალმა, — როცა ახმადი არ ჩამოდის მთიდან, მაშინ ჩვენ მივდიართ მთაში!

ამ სიტყვამ თითქოს ბზარი იპოვა ახმადის გულში. ერთიანად შეძრა. შადურს მიაჩერდა. მრავალმნიშვნელოვანი იყო ეს დუმილი. აკი „უკუდოდ“ მოვედიო?

გენერალი მიუხვდა.

— ნუ გაკვირვებთ ჩემს აქ ყოფნას. ეს წუთია მოვედი. გუშინ არ გამიძლო. ასე რომ, თქვენი მონა-მორჩილი შადური არაფერ შუაშია. ჩვენ დათქმული გვქონდა — იგი თავისი თანამშრომლებით ათ საათს უნდა ყოფილიყო თქვენთან. დაგვიანების შემთხვევაში ჩვენი ოპერატიული ჯგუფით უნდა გსტუმრებოდით.

— როგორც ხედავთ, ბატონ შადურს საღ-სალამათს გიბრუნებთ!

— ვხედავ. — თქვა აღექსი ინაურმა.— მაგრამ მან დათქმულ დროს დაგაადვილა. ეტყობა, თქვენი სტუმართმოყვარეობით გართულს, გადავიწყდა ჩვენი შეთანხმება. ასეა? — მიუბრუნდა ვარლამს გენერალი.

— ასეა, ამხანაგო გენერალო! შეუმჩნევლად გაგვიფრინდა დრო.

ჩოკა!

რას აკეთებს ამ დროს ჩოკა? იგი გაფფორებული დგას ახმადის ზურგს უკან.

„რა ხდება? ნუთუ აქ, ორწყალის ხიდთან გასრულდა მათი თავისუფლება?“

ხიდის მეორე მხარეს, დაახლოებით ორასი მეტრის დაშორებით სამი მანქანა დგას. ახმადი ვერ ხედავს ამ მანქანებს. ახმადი საუბრით არის გართული. მაგრამ ჩოკა ხომ ხედავს? ორი „ვოლისია“. ერთი კი ზედ ხიდთან რომ გაუჩერებიათ, გრძელი შავი მანქანაა. გენერალი ხელის აქნევით რაღაც ნიშანს იძლევა. შავი მანქანა ნელა დაიძრა ადგილიდან.

— ამჯერად ჩვენ გავუწოოთ ბატონ ხუჩბაროვს მასპინძლობა. — თქვა გენერალმა.

— სხვა დროისთვის გადავდოთ! — წამოაწოთლა ხუჩბაროვს.

— რახან შევხვდით, ბარემ ზოგიერთი რამეც გავარკვიოთ.

— მე და ბატონმა შადურმა, მგონი, გავარკვიეთ ყველაფერი. ჩვენ კი აქ დაგემშვიდობებით.

გენერალმა ინაურმა ცივად მოხედა ახმადს.

— თუ სუბორდინაციას დავიცავთ, რამდენადაც ვიცი, ბოკოვნიკი უნდა ემორჩილებოდეს გენერალს! — თქვა მკაცრად. ფოლადმა გაიჟღრიალა მის ხმაში. ხუჩბაროვი შეცბა. ერთიანად დაიძაბნენ მისი თანმხლებნიც.

—გენერალმა ყველაფერი იცის!.. ყველაფერი!.. ყველაფერი!.. მაგრამ მას თუ ჩემი შეპყრობა უნდა... შესაპყრობად ასე არ დადიან“.

ინაური მშვიდი სახით მისჩერებოდა ყაჩაღთა წინამძღოლს.

— მე ვგრძნობ, რაღაცით უკმაყოფილო ხარ — გაისმა მისი ხმა. ხუჩბაროვმა ცივი, წვრილი თვალები მიაპყრო გენერალს. — რაიმე პრეტენზია ხომ არა გაქვთ შადურის მიმართ?

აი, ახლა გაჩნდა ირონიული ღიმილი.

— პრეტენზია? მე მხოლოდ კაცის სიტყვა ვიცი. ეს სიტყვა დღეს, ვატყობ, კარგავს ძალას...

გენერლის სახის გამომეტყველება კითხვას გამოხატავდა.

— ჯერ არ ყოფილა, რომ ჩვენ სიტყვაა გაგვეტეხოს! — თქვა მან. ხუჩბაროვმა ცხელი ქარის სუნთქვა იგრძნო თითქოს — ერთბაშად აილეწა. შუდამ დეგილის, სასტიკსა და დაუნდობელს ჯერ კიდევ მორეულ წლებში დაუბლაგვდა შინაგანი ენებათღელვის გამქღავნების უნარი. ვერასოდეს გაუგებდი — უხაროდა თუ სწყინდა. სახე თითქოს ნიღბის ქვეშ ჰქონდა დამალული. მაგრამ ახლა მიხვდა, რაღაც უხილავმა ხელმა ჩამოაცალა ეს ნიღაბი. გამოკრთა დაბნეული, ბოღმისაგან გადატეტკილი სახე.

— პირობას გაძლევთ, ჩვენ დიდხანს არ დაგაყოვნებთ. დავსხდეთ სადმე. დამშვიდებით მოვითათბიროთ. ჩვენი მდგომარეობის ადამიანებს არ ეკადრებათ შუა გზაზე დგომა და საუბარი. აგერ ჩემი მანქანაც!

— სხვა დროისათვის იყოს! — სცადა ფეხის ათრევა ხუჩბაროვმა. მას ხმა ჩაეხლინწა თითქმის.

— გთხოვთ!

— კარგით, მაშინ, — ჩათრევ-

ას ჩაყოლა ამჯობინა ახმადმა. — ეინვალამდე გაგაცილებთ.

4.

მანქანას ანჯღრევდა.

„პოლკოვნიკი კი უნდა ემორჩილებოდეს გენერალს! — ეიქვიატა ინაურის ნათქვამი ხუჩბაროვს.

იქნებ ეს უნებურად იყო ნასროლი?

ჩეკისტებთან უნებურად არაფერი ხდება!

სად მივდივართ? ნუთუ მართლა მოსალაპარაკებლად? ალბათ.

...ახმადი ფიქრებში ჩაძირა.

...ხასან ტერლოევის სახე. ოსმან გუბეს სახე. იდი ალხასტი. სუფრა. მთებში სისხლისმღვრელი ბრძოლებია. გერმანელები გამძვინვარებით უტევენ კავკასიონის მთავარ უღელტეხილს. ოსმან გუბე კმაყოფილი იფშვნეტს ხელებს. მისმა „არწივებმა“ არაერთი „მგირობა“ ჩაიდინეს.

და ამიტომ:

— ახმად ხუჩბაროვ! — ფეხზე დგება პირთხელი, საოცრად მოძრავთვალება მამაკაცი. უკვე ასაკოვანია. მაგრამ თავი ყიხრად უჭირავს. მე უფლებამოსილი ვარ გადმოგცეთ ჩემი სარდლობის მადლობა და ჯილდო — რკინის ჯვარი! რაინდთა ხვედრია იგი. ამ ჯილდოს მხოლოდ უშიშარნი და ღირსეულნი ატარებენ. — სული დაითქვა, ერთხანს ჭერს მიაშტერდა. აშკარად ეტყობოდა, გონებაში რაღაცას სწრნდა. უცებ გაიღიმა. — მე მთავარი კიხალამ დამავიწყდა. ჩემმა მთავრობამ პირველად თქვენთვის დაიწესა საგანგებო წოდება. რა თქმა უნდა, იმ დამსახურებათა გათვალისწინებით, რასაც თქვენს მიერ განვლილი გზა ადასტურებს. — ახსოვდა ახმადს ის წამიც, — დაძაბული,

ნადირობა მგლებზე

დუმილი. აკი „უკუდოდ“ მოვედიო?

— გენერალი მიუხვდა.

— ნუ გაკვირვებთ ჩემს აქ ყოფნას. ეს წუთია მოვედი. გუშინ არ გამიძლო. ასე რომ, თქვენი მონა-მორჩილი შადური არაფერ შუაშია. ჩვენ დათქმული გვქონდა — იგი თავისი თანამშრომლებით ათ საათს უნდა ყოფილიყო თქვენთან. დაგვიანების შემთხვევაში ჩვენი ოპერატიული ჯგუფით უნდა გსტუმრებოდით.

— როგორც ხედავთ, ბატონ შადურს საღ-სალამათს გიბრუნებთ!

— ვხედავ. — თქვა ალექსი ინაურმა.— მაგრამ მან დათქმულ დროს დაგაადვილა. ეტყობა, თქვენი სტუმართმოყვარეობით გართულს, გადავიწყდა ჩვენი შეთანხმება. ასეა? — მიუბრუნდა ვარლამს გენერალი.

— ასეა, ამხანაგო გენერალო! შეუმჩნევლად გაგვიფრინდა დრო.

ჩოკა!

რას აკეთებს ამ დროს ჩოკა? იგი გაფფორებული დგას ახმადის ზურგს უკან.

„რა ხდება? ნუთუ აქ, ორწყალის ხიდთან გასრულდა მათი თავისუფლება?“

ხიდის მეორე მხარეს, დაახლოებით ორასი მეტრის დაშორებით სამი მანქანა დგას. ახმადი ვერ ხედავს ამ მანქანებს. ახმადი საუბრით არის გართული. მაგრამ ჩოკა ხომ ხედავს? ორი „ვოლისია“. ერთი კი ზედ ხიდთან რომ გაუჩერებიათ, გრძელი შავი მანქანაა. გენერალი ხელის აქნევით რაღაც ნიშანს იძლევა. შავი მანქანა ნელა დაიძრა ადგილიდან.

— ამჯერად ჩვენ გავუწოოთ ბატონ ხუჩბაროვს მასპინძლობა. — თქვა გენერალმა.

— სხვა დროისთვის გადავდოთ! — წამოაწოთლა ხუჩბაროვს.

— რახან შევხვდით, ბარემ ზოგიერთი რამეც გავარკვიოთ.

— მე და ბატონმა შადურმა, მგონი, გავარკვიეთ ყველაფერი. ჩვენ კი აქ დაგემშვიდობებით.

გენერალმა ინაურმა ცივად მოხედა ახმადს.

— თუ სუბორდინაციას დავიცავთ, რამდენადაც ვიცი, ბოკოვნიკი უნდა ემორჩილებოდეს გენერალს! — თქვა მკაცრად. ფოლადმა გაიჟღრიალა მის ხმაში. ხუჩბაროვი შეცბა. ერთიანად დაიძაბნენ მისი თანმხლებნიც.

—გენერალმა ყველაფერი იცის!.. ყველაფერი!.. ყველაფერი!.. მაგრამ მას თუ ჩემი შეპყრობა უნდა... შესაპყრობად ასე არ დადიან“.

ინაური მშვიდი სახით მისჩერებოდა ყაჩაღთა წინამძღოლს.

— მე ვგრძნობ, რაღაცით უკმაყოფილო ხარ — გაისმა მისი ხმა. ხუჩბაროვმა ცივი, წვრილი თვალები მიაპყრო გენერალს. — რაიმე პრეტენზია ხომ არა გაქვთ შადურის მიმართ?

აი, ახლა გაჩნდა ირონიული ღიმილი.

— პრეტენზია? მე მხოლოდ კაცის სიტყვა ვიცი. ეს სიტყვა დღეს, ვატყობ, კარგავს ძალას...

გენერლის სახის გამომეტყველება კითხვას გამოხატავდა.

— ჯერ არ ყოფილა, რომ ჩვენ სიტყვაა გაგვეტეხოს! — თქვა მან. ხუჩბაროვმა ცხელი ქარის სუნთქვა იგრძნო თითქოს — ერთბაშად აილეწა. შუდამ დეგილის, სასტიკსა და დაუნდობელს ჯერ კიდევ მორეულ წლებში დაუბლაგვდა შინაგანი ენებათღელვის გამქღავნების უნარი. ვერასოდეს გაუგებდი — უხაროდა თუ სწყინდა. სახე თითქოს ნიღბის ქვეშ ჰქონდა დამალული. მაგრამ ახლა მიხვდა, რაღაც უხილავმა ხელმა ჩამოაცალა ეს ნიღაბი. გამოკრთა დაბნეული, ბოღმისაგან გადატეტკილი სახე.

— პირობას გაძლევთ, ჩვენ დიდხანს არ დაგაყოვნებთ. დავსხდეთ სადმე. დამშვიდებით მოვითათბიროთ. ჩვენი მდგომარეობის ადამიანებს არ ეკადრებათ შუა გზაზე დგომა და საუბარი. აგერ ჩემი მანქანაც!

— სხვა დროისათვის იყოს! — სცადა ფეხის ათრევა ხუჩბაროვმა. მას ხმა ჩაეხლინწა თითქმის.

— გთხოვთ!

— კარგით, მაშინ, — ჩათრევ-

ამაფორიაქებელი. მაგრამ რატომ აქაოსურებდა იმ წუთს ეს ხერხება აბეირელი? აჰა, ამოდერღა! — ამიერიდან ჩვენს ხელმძღვანელობაში ვერმანტის პოლკოვნიკად მოიხსენიებით. ისე რომ, გილოცავთ ამ მაღალ წოდებას!..

მოულოდნელად თავი გააქნია, ფიქრებიდან გამოერკვა. იგი ვარლამ შადურსა და გიორგი გუჩმაზაშვილს შორის იჯდა, მოეჩვენა, აქ, ამ მანქანაში დამთავრდა მთელი მისი ცხოვრება. სამ წყებად შემორტყმული ფალასკა სხეულს სწვავდა. იგი წინ მჯდომი გენერლის კეფას ხედავდა. გენერალი მიმწუხრით დამძიმებულ გზას გაჰყურებდა.

ხანდახან მძღოლს თუ ეტყოდა რამეს. შესაძლოა მიზეუულ-მოზეუულებში აფრთხილებდა. ხუჩბაროვს კარგად არ ესმოდა მისი სიტყვები.

ნუთუ ასე უბრალოდ, უმტკივნეულოდ დასრულდა ამდენი წლის სისხლიანი ტრაგედია?

წარმოუდგენელი რამ იყო: პირწმაკრნალი პოლიტიკური ბანდიტი და საბჭოთა ხელისუფლების მოსისხლე მტერი ოჯდა მათ გვერდიდან!

შადურის ფიქრს ათასნაირი ბვრელი და გზა ჰქონდა. მშობლიური ყაზბეგის სანახები წარმოიდგინა. ერთი საათის გზაც კი არ არის აქედან!.. სოფელ ხაბხას დღემდე ახსოვს ვერაგულად გასროლილი ხუთი ტყვია... სოფლის საბჭოდან ცოტათი დამორებთ, გზავიწროსთან ყაჩაღები ელოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს... სახელმწიფო უშიშროების რაიონული კომიტეტის ოპერრწმუნებული უფროსი ლეიტენანტი კალე შუმლაძე, ლეიტენანტი ნიკო ფიცხელაური, მილიციის სერჟანტი აღლეში ბურდული, სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ივანე გიგაური, კოლმეურნე დათიკო არაბული... ბორიტებასაც აქვს თავისი საზღვარი. უაჩაღები გამოსულოდათ — არ დაეზიანებინათ... ქუდი! ხუთივე დაღუპულს ტყვია შუბლში, თვალთა მორის ჰქონდა მორტყმული. დიდი გლოვა იყო მაშინ ყაზბეგში. ამ გლოვის გამოძახილმა აემღვრია სული ვარლამსაც. გაახსენდა სოფელი აჩე... ყველაწყალი.

ოპერატიული ცნობიდან. 1949 წლიდან 1950 წლის ჩათვლით ახმეტის, თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში მოქმედებდა მხოლოდ ერთი ბანდა. ბანდის მეთაურია ხუჩბაროვი. დადგენილია, რომ სოფელ ყელისწყაროსა და სოფელ აჩეში დატრიალებული ტრაგედია მათი ნამოქმედარია. სოფელ აჩეზე თავდასხმისას ხუჩბაროვის ბანდის ყველა წევრს ნიღაბი ეკეთა. 1950 წლის 24 მაისს ბანდა თავს დაესხა ყელისწყაროს. გაანადგურა ოპერატიული რაზმი და ალყა შემოარტყა ხახონა ჭინჭარაულის სახლს. ხუჩბაროვი გაუგონარი სისასტიკით გაუსწორდა ხახონას, მის მეუღლეს — ნატოს, შვილს — გუსს, შოთა ჭინჭარაულს და მის მეუღლეს — ნათელას. ვიდრე მოკლავდნენ, ხახონა აწამეს... ჯერ ხელის მტევნები მოსჭრეს, მერე ყურები, მერე ცხვირი... მიზეზი? ხახონა ჭინჭარაული აქტიურად მონაწილეობდა ყაჩაღებთან ბრძოლაში...

მანქანა ეინვალს უახლოვდება.

— დიდხანს დავრჩებით ეინვალში? — ეს ხუჩბაროვის ხმაა, დაქეიფილი, ნაგვები კაცის ქშინვას რომ მოჰგავს.

— არ ვიცი. — მხრებს წურავს შადური.

— რატომ?

—შენ გენერლის სტუმარი ხარ, ბა მე რა გიპასუხო მის მაგივრად?!

ახმადს ყბა უკანკალებს. გავებ! ასეთ რამეს იგი სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა. და მან სიმწრისაგან მოიკვნიტა ბაგე...

— ვარლამ! — მიუბრუნდა გენერალი თანამშრომელს, — აბა, თუ იცი, როდის ყვავიან მაჩიტელები?

— მთიელმა კაცმა მეტი რა ვიცი? კარი ამოსწევს თუ არა. თავს, ისიც გამოპყვება.

— არ დაგვიწყებია. მე კი

მხოლოდ ომის შემდეგ გამახსენდა, რომ ცა ლურჯი იყო და მინდორი დანამულს გარდა, შეიძლება ყვავილოვანიც ყოფილიყო...

— ჩქარა მივალთ ეინვალში? — იკითხა ხუჩბაროვმა.

— უკვე აღარაფერი დარჩა.

— ღამდება. — თქვა ახმადმა.

სუფთად გაპარსული სახე ვეება ხელებში იმალება. რას გამოხატავს ხუჩბაროვი თავის კანტურით? სანანულს? მაგრამ მას ჯერ აქვს იმედის ნაპერწკალი. „გენერალი სატყვას არ უღალატებს!“

ალექსი ინაურმა ოდნავ მოაბრუნა თავი.

— ახმად, — გაისმა მისი ბოხი, მაგრამ მკვეთრად გამოკვეთილი ხმა, — ყოფილხარ თბილისში?

თბილისის ხსენებამ ერთიანად მოსრა ის ნაპერწკალი, ამდენ ხანს რომ ათბუნებდა ხუჩბაროვს.

— არა, არ ვყოფილვარ.

რად დასჭირდა გენერალს თბილისის ხსენება?

იქნებ ეს მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობა იყო?

შეიძლება.

ამან დაამშვიდა.

ფშავ-ხევსურეთში ღამე გაბატონდა.

5.

რეტროსპექტივა. 1943 წელი. გაზაფხული.

მამაკაცი სარკმელში იცქირებოდა. მან შორი გზა გამოიარა. მისი დავალებაც ფრიად საპასუხისმგებლო იყო. ჩეკისტები კარგა ხანია ელოდნენ ასეთ ხელსაყრელ წუთს: ხუჩბაროვის ბანდის ერთმა წევრმა მთავრობასთან მოლაპარაკება ისურვა.

მერე სწრაფად მოშორდა სარკმელს. ვიწრო ოთახი თამბაქოს ბოლით იყო გაღეღნთილი. მაგიდა, ორი სკამი და წიგნების კარადა — ეს იყო ოთახის მორთულობა.

მაგიდასთან მეორე მამაკაცი იჯდა, შედარებით ახალგაზრდა. ნაცრისფერი კიტელი ბოლომდე შეეკვნა. გაციებული იყო. ვეება ჯრელი ცხვრისხოცით წარამარა იწმენდდა აწითლებულ ცხვირს. ცხვრის ტყავის მოკლე ჯუბა უკან, სკამზე იყო გადაკიდებული.

— აწი როგორღა მოვიქცეთ, ოსმან? — იკითხა სარკმელთან მდგომმა.

მაგიდასთან მჯდომი გამოერკვა. ისიც თავის ფიქრებში იყო გართული და ამ მოულოდნელმა შეკითხვამ შეაკრთო. თავი ასწია. წვეირი. შუბლზე ჩამოყრილი მოყვითალო თმა. დახეთქილი ტუჩები. გაურკვევლობის ნიშანი ჭროლა თვალებში.

— რასაც მიბრძანებთ, — თქვა ბოლოს.

— მე ბრძანებას არ ვიძლევი, ოსმან. შენი და შენი მეუღლის ბედი თვით შენს ხელშია, გული რასაც გიკარნახებს, იმ გზას დაადექი.

— ახლა ვხედავ, ყველა გზა მაინც თქვენთან მომიყვანს.

— მე მინდა რამდენიმე შეკითხვა მოგაკეთო.

ოსმანი დაიძაბა.

— როდის შეხვდით პირველად ხუჩბაროვს?

— ხუჩბარო